საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზოდი

ზოდი, ისტორიული სოფელი ახლანდელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში. სოფლის ტერიტორიაზე ნაპოვნია (1964–65) ძვ. წ. XI–VIII სს. ბრინჯაოს ცულები. ერთი – ქორიძისეული III სახეობის კოლხური ცულია, რ-საც თითქმის სიმეტრიული ორფრთიანი პირი და მახვილი ყუა აქვს, მეორეს (IV სახეობა) აქვს ცალფრთიანი პირი და სწორი შუბლი. დაცულია ჩოხატაურის მუზეუმში.

ლიტ.: რ ა მ ი შ ვ ი ლ ი ა., კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ბათ., 1974.

ა. რამიშვილი